

<p>საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება</p>	<p>ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი მისამართი: 6010, ქ. ბათუმი ნინოშვილის ქ., №35 ტელ/ფაქსი: (0422) 27 17 87 ელ. ფოსტა: info@bsu.edu.ge</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება</p>	<p>უმაღლესი განათლების მესამე საფეხურის/სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა განათლება</p>
<p>მისანიჭებელი კვალიფიკაცია</p>	<p>განათლების დოქტორი</p>
<p>პროგრამის მოცულობა კრედიტებში</p>	<p>სადოქტორო პროგრამა განათლება მოიცავს 180 კრედიტს. მათ შორის 60 კრედიტი სასწავლო კომპონენტი და 120 კრედიტი სამეცნიერო კომპონენტი. დოქტორანტის სასწავლო კომპონენტი გულისხმობს სავალდებულო და არჩევით სალექციო კურსებს, სემინარს, ხოლო სავალდებულო კვლევითი კომპონენტები მოიცავს ორ 20-20 კრედიტიან კოლოკვიუმს და სადისერტაციო ნაშრომის შესრულებას (80 კრედიტი).</p>
<p>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი</p>	<p>საქართველოში განათლების სისტემის გარდაქმნა-გაუმჯობესების პროცესი მოითხოვს უმაღლესი დონის სამეცნიერო განათლების სპეციალისტების მომზადებისადმი ახლებურ მიდგომებს. ამ ამოცანების გადაწყვეტის ხარისხი დამოკიდებულია უნივერსიტეტის მესამე საგანმანათლებლო საფეხურის - დოქტორანტურის სწორ და მიზანმიმართულ საქმიანობაზე. დოქტორანტურამ უნდა მოამზადოს სპეციალისტი, რომელიც წარმატებით გაუძღვება სამეცნიერო-კვლევით და სასწავლო – აღმზრდელობით საქმიანობას ნებისმიერი საფეხურის სასწავლო დაწესებულებაში, ხელს შეუწყობს განათლების სფეროს ახალბედა და გამოცდილი მკვლევარების პროფესიონალიზმის ამაღლებასა და კარიერულ ზრდას.</p> <p>პროგრამის მიზანია განათლების დარგში თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციების მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი სამეცნიერო კადრების მომზადება განათლების მეცნიერებებში, რომელიც იქნება მაღალი მოქალაქეობრივი შეგნებისა და აქტივობის, ლიბერალური ღირებულებების პრინციპების მატარებელი თავისუფალი პიროვნება და რომელიც შეძლებს ქვეყანაში მიმდინარე განათლების რეფორმების მეცნიერულ საფუძველზე წარმართვას, სამეცნიერო მუშაობის ახალ სტანდარტებზე გადაყვანას და ახალგაზრდა მკვლევარებისთვის კარიერის დაგეგმვისა და დასაქმების შესაძლებლობების გაზრდის შესაბამისი პოლიტიკის ჩამოყალიბებას. სადოქტორო პროგრამა განათლებაში იმუშავებს ოთხი მიმართულებით: პედაგოგიკის თეორია და ისტორია, განათლების ფილოსოფია, განათლების სოციოლოგია და დარგობრივი მეთოდოლოგია. ბსუ-ს განათლების დოქტორანტურაში ჩარიცხვისთანავე დოქტორანტი სურვილისა და ინტერესის შესაბამისად აირჩევს მიმართულებას.</p>
<p>სწავლის შედეგები (დარგობრივი კომპეტენციები)</p>	<p>ცოდნა და გაცნობიერება:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. ფლობს განათლების სფეროში არსებული თეორიების ღრმა ცოდნას; 2. ფლობს განათლების დარგისათვის სპეციფიკურ (თეორიულ და კვლევით) მეთოდებს, რაც განათლების დარგში წარმატებით მუშაობის საფუძველია; <p>ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი:</p> <ol style="list-style-type: none"> 1. შეუძლია პასუხისმგებლობის, ავტონომიურობისა და ინიციატივის გამოვლენა კომპლექსურ და არაპროგნოზირებად სიტუაციებში, როგორც პროფესიულ, ისე ეკვივალენტურ კონტექსტში; 2. აქვს განათლების სფეროს საკითხების კვლევის საფუძველზე ორიგინალური და გამოქვეყნებადი ნაშრომის შესრულებისა და დემონსტრირების უნარი; 3. აქვს ახალ ცოდნაზე ორიენტირებული მოხსენებებისა და ადგილობრი-

	<p>ვი და/ან საერთაშორისო რეფერირებადი ჟურნალებისათვის პუბლიკაციების მომზადების უნარი;</p> <p>4. აქვს საგანმანათლებლო პროგრამების შედგენისა და მართვის უნარი</p> <p>დასკვნის უნარი:</p> <p>1. აქვს კონკრეტულ საგანმანათლებლო და პროფესიულ კონტექსტში ცოდნის ფართოდ გამოყენების, შედეგების გაანალიზების და კრიტიკის უნარი;</p> <p>2. აქვს საგანმანათლებლო კონცეფციის, თეორიისა და პოლიტიკის საკითხების სისტემური ანალიზის უნარი;</p> <p>კომუნიკაციის უნარი:</p> <p>1. აქვს მულტიდისციპლინური საგანმანათლებლო ჯგუფის კოორდინირებისა და გაძღოლის უნარი;</p> <p>2. აქვს განათლების თემაზე ქართველ და უცხოელ კოლეგებთან ახალი ცოდნის გაზიარების, პოლემიკის წარმართვის უნარი</p> <p>სწავლის უნარი:</p> <p>1. შეუძლია საგანმანათლებლო სფეროში საკუთარი და სხვების სწავლის შედეგების შეფასება, ანალიზი და გაუმჯობესება;</p> <p>2. შეუძლია საგანმანათლებლო სფეროში საკუთარი და სხვების უწყვეტ პროფესიულ განვითარებაზე პასუხისმგებლობის აღება.</p> <p>ღირებულებები:</p> <p>1. შეუძლია სოციალური ნორმებისა და დარგში არსებული ურთიერთობების განხილვა, გააზრება და ქმედებების წარმართვა მათი გაუმჯობესების მიზნით;</p> <p>2. ფლობს საგანმანათლებლო კონტექსტში კვლევის ეთიკის ნორმებს.</p>
<p>შეფასების წესი</p>	<p>სტუდენტის შეფასება ხდება შემდეგი სახით:</p> <p>ა) (A) ფრიადი - 91 ქულა და მეტი; ბ) (B) ძალიან კარგი - 81-90 ქულა; გ) (C) კარგი - 71-80 ქულა; დ) (D) დამაკმაყოფილებელი - 61-70 ქულა; ე) (E) საკმარისი - 51-60 ქულა.</p> <p>(FX) ვერ ჩააბარა - 41-50 ქულის მიღების შემთხვევაში სტუდენტს უფლება ეძლევა დამატებით გამოცდაზე ერთხელ კიდევ გავიდეს. (F) ჩაიჭრა - 40 ქულის ან ნაკლების მიღებისას სტუდენტს საგანი თავიდან აქვს შესასწავლი.</p>
<p>საკონტაქტო პირი</p>	<p>ლელა თავდგირიძე - განათლების ფაკულტეტის პროფესორი, პროგრამის ხელმძღვანელი</p> <p>საკონტაქტო ინფორმაცია:</p> <p>ტელეფონი: (+995) 599 506430, ელ. ფოსტა: ltavdgiridze@rambler.ru</p>